



# ინგლისური ენის კურსის შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

2013

ძირითადი საკითხები:

სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

კურსის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი ცვლილებები


## გამოკითხვის შესახებ

2013 წლის შემოდგომის სემესტრის დასასრულს ილიას უნივერსიტეტში ინგლისური ენის კურსის შესახებ სტუდენტების გამოკითხვა ჩატარდა.

კვლევის ფარგლებში გვსურდა, დაგვედგინა სტუდენტების დამოკიდებულებები კურსის შინაარსისა და ორგანიზაციული საკითხების მიმართ და შეგვეგროვებინა სტუდენტების რეკომენდაციები კურსის გაუმჯობესების საკითხებზე.

კვლევაში ბაკალავრიატის საფეხურის პირველი და მესამე კურსის 4100-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხული 4100 ადამიანი შემდეგნაირად გადანაწილდა ინგლისურის კურსის დონეების მიხედვით :

სქემა 1: გამოკითხული სტუდენტების განაწილება დონეების მიხედვით.



სამწუხაროდ, გამოკითხულთა შორის არ მოხვდა Advanced დონის სტუდენტები, რომელთა რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაშიც მცირეა (35 სტუდენტი).

კვლევის ფარგლებში მოვიცავით გენერალური ერთობლიობის 76%. თითოეული საფეხური ანალოგიური პროპორციით იყო წარმოდგენილი.


კითხვარების შედარებით დაბალი შევსების მაჩვენებელი დაფიქსირდა Elementary დონეზე, ხოლო შედარებით მაღალი Upper Intermediate დონეზე.

საფეხური	გამოკითხულთა წილი გენერალურ ერთობლიობაში
Starter	75%
Elementary	69%
Pre-intermediate	73%
Intermediate	73%
Upper Intermediate	87%

## სწავლის შედეგები


სტუდენტები თვლიან, რომ ერთი სემესტრის განმავლობაში გაუმჯობესდათ მოსმენის, ლექსიკის და მეტყველების უნარები, თუმცა ისურვებდნენ მეტ წინსვლას წერისა და კითხვის უნარებში, ისევე როგორც გრამატიკის ცოდნაში.

სწავლით კმაყოფილების შეფასება - საშუალო ქულა (5- მალიან კმაყოფილი)




წელს მეტი სტუდენტი ურჩევდა სხვებს ამ კურსის გავლას თავის პედაგოგთან.

ურჩევდით თუ არა თქვენს მეგობარს ამავე პედაგოგთან სწავლას (პასუხების %) - 2011




ურჩევდით თუ არა თქვენს მეგობარს ამავე პედაგოგთან სწავლას (პასუხების %) - 2012



## სწავლით კმაყოფილება

სტუდენტები დადებითად აფასებენ ინგლისური ენის კურსს - შინაარსს, პედაგოგებსა და ორგანიზაციულ მხარეს. შარშანდელ მონაცემებთან შედარებით კიდევ უფრო გაუმჯობესებულია მასწავლებელთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი.

განგივითარდათ თუ არა ინგლისურის კურსის შედეგად შემდეგი უნარები? (პასუხების %)




# სასწავლო პროცესი

ზოგადად, სტუდენტების უკუკავშირი კურსის შინაარსისა და სწავლებლის ეფექტურობასთან დაკავშირებით ძალიან პოზიტიურია.

წინა წელთან შედარებით მეტი სტუდენტი აღნიშნავს, რომ სწავლება ყოველთვის ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა.


სტუდენტების უმეტესობის აზრით, მასწავლებელი ამომწურავად პასუხობდა კითხვებს, კორექტული იყო სტუდენტების მიმართ და სამართლიანად აფასებდა სტუდენტებს.



შარშანდელ მონაცემებთან შედარებით თვალსაჩინო პროგრესი ჩანს კურსის მოლოდინებთან შესაბამისობისა და საინტერესოების კუთხით, თუმცა სტუდენტები თვლიან, რომ შესრულებულ დავალებზე მასწავლებლისაგან მეტ უკუკავშირს უნდა იღებდნენ.

ასევე, სტუდენტების ნაწილის აზრით, სტარტერის დონეზე მეცადინეობის პროცესში ძირითადად მასწავლებელი აქტიურობს.

ეთანხმებით თუ არა შემდეგ დებულებებს? დიახ—პასუხების %





## დაგეგმილი ცვლილებები

სტუდენტების შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით კურსის გასაუმჯობესებლად რამდენიმე სიახლე დაინერგა:

კითხვის, წერისა და გრამატიკის უნარების გასაუმჯობესებლად - გაზაფხულის სემესტრიდან სტუდენტები British Council-ის სხვადასხვა ელ. რესურსებს ([www.leraningenglish.britishcouncil.org](http://www.leraningenglish.britishcouncil.org)) და სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ბლოგებს იყენებენ (<http://www.b11-136.blogspot.com>). ეს რესურსები საინტერესო სავარჯიშოებს და დამატებით საკითხავ ლიტერატურას შეიცავს. საკითხავი მასალა მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის კითხვის top-down და bottom-up სტრატეგიების სწავლებას. სავარჯიშოები სტუდენტებს შეცდომების ონლაინ რეჟიმში შესწორების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, შესაძლებელია წერის დროს დაშვებული უზუსტობების უცბად გასწორება.

შესრულებულ დავალებებზე მუდმივი უკუკავშირის უზრუნველყოფად გაზაფხულის სემესტრის დასაწყისში ინგლისურის ლექტორების სპეციალური შეხვედრა გაიმართა და უკუკავშირის გაუმჯობესების სტრატეგია დაიგეგმა.

გაკვეთილზე მასწავლებლის საუბრის დროის შემცირება, კურსის ორგანიზატორთა აზრით, აგრეთვე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. კლასის მართვის ტექნიკებში მასწავლებლებისათვის დამატებითი ტრენინგები დაიგეგმა. ასევე, გაზაფხულის სემესტრში პედაგოგები დაესწრებიან ერთმანეთის მეცადინეობებს იმისათვის, რომ ერთად შეიმუშაონ მეცადინეობებზე სტუდენტების ჩართულობის და აქტიურობის გაზრდის სტრატეგია.

ენობრივი კომპეტენციების განვითარების მიზნით 2013 წლიდან ინგლისური ენის კურსის პირველი და მეორე კურსის სტუდენტები მონაწილეობას იღებენ კურიკულუმს გარეთ სპეციალურ კონკურსში, რომელიც ითვალისწინებს ბრიტანეთის საბჭოს Learn English ვებ გვერდზე არსებული ვიდეო ფილმების სერიების „This is Great Britain“ მსგავსი ვიდეო ფილმების შექმნას საქართველოზე. საუკეთესო სიუჟეტის ავტორი გაემგაზრება დიდი ბრიტანეთში, სპეციალურ ერთკვირიან კურსზე, მეორე და მესამე ადგილზე გასულები მიიღებენ ფასიან საჩუქრებს.